

# ქსკორდის გზამკვლევი



REAP

კენკრა ევროპის  
გზამკვლევი



## CBI-ის ბაზრის საინფორმაციო პორტალი

CBI (განვითარებადი ქვეყნებიდან ევროპაში იმპორტის ხელშეწყობის ცენტრი) წარმოადგენს ნიდერლანდების სამეწარმეო სააგენტოს ნაწილს. CBI-ის ბაზრის საინფორმაციო პორტალზე განთავსებული მასალა დიდი გულისყურით შემუშავდა, თუმცა CBI და პუბლიკაციების ავტორები არ არიან პასუხისმგებელი პორტალზე გამოქვეყნებული ინფორმაციის გამოყენების შედეგებზე. პორტალზე განთავსებულ ინფორმაციას არა აქვს იურიდიული ძალა. ამდენად, საჭიროების შემთხვევაში, უნდა დავეყრდნეთ შესაბამის წყარო-დოკუმენტებს. მოწოდებული ინფორმაცია მკითხველს არ ათავისუფლებს შესაბამისი საკანონმდებლო, მარეგულირებელი ან/და სამართლებრივი მოთხოვნების და მათში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინების ვალდებულებისგან. ბაზრის საინფორმაციო პორტალის მიზანია CBI-ის სამიზნე ჯგუფის - განვითარებად ქვეყნებში ექსპორტირებისა და ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციების (BSO) - დახმარება. ცენტრი ინფორმაციას აქვეყნებს არავალდებულო მიზნით.

USAID/REAP პროექტმა, CBI-სთან შეთანხმებით თარგმნა ექსპორტის გზამკვლევების წინამდებარე სერია ქართულ ენაზე და მოახდინა მათი ადაპტირება საქართველოს რეალობასთან. (თაფლის ექსპორტის გზამკვლევი მომზადებულია USAID/REAP პროექტის მიერ).

ნაშრომში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის ავტორს და არ გამოხატავს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და აშშ-ს მთავრობის შეხედულებებს.

სერიაში შედის 9 გზამკვლევი, რომლებიც მიმოიხილავს ქვემოთამოთვლილ პროდუქციას ევროპის ბაზარზე გაყიდვის შესაძლებლობის კუთხით:

- ▶ **კენკრა**
- ▶ **ჩაი**
- ▶ **ცოცხალი მწვანელი**
- ▶ **გაყინული ხილი და ბოსტნეული**
- ▶ **ხველი პალახოვანი სანაღებლები**
- ▶ **სიმეფი**
- ▶ **დაქუცმაცებული და დაფუული სანაღებლები და გამხმარი მწვანელი**
- ▶ **თაფლი**
- ▶ **თხილი და ჩირი**

## კენკრის ექსპორტი ევროპაში

განვითარებადი ქვეყნებიდან ევროპაში კენკროვანი კულტურების იმპორტი გაორმაგდა უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში და კვლავაც განაგრძობს ზრდას. მომხმარებლის ცნობიერებაში კენკროვანი კულტურები ერთ-ერთ ყველაზე ჯანსაღ პროდუქტთან ასოცირდება და შესაბამისად, დიდი პოპულარობით სარგებლობს ევროპულ ბაზარზე. მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში კენკრის მრავალი სახეობა მოჰყავთ, აღნიშნულ პროდუქციაზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად აღემატება ევროპული წარმოების მასშტაბებს. კენკროვანი კულტურებზე მოთხოვნის ნაწილი კმაყოფილდება განვითარებადი ქვეყნებიდან იმპორტირებული პროდუქციით.

## 1 პროდუქციის განსაზღვრება

**წინამდებარე გზამკვლევი ძირითადად განხილულია შემდეგი კენკროვანი კულტურები:**

- ▶ ჟოლო (Rubus idaeus)
- ▶ მაცვალი (Rubus)
- ▶ მოცვი (Vaccinium myrtillus; ევროპული ლურჯი მოცვი)
- ▶ ლურჯი მოცვი (Vaccinium cyanococcus, Vaccinium corymbosum)

**წინამდებარე გზამკვლევი ასევე მიმოიხილავს შემდეგ კულტურებს:**

- ▶ მოცხარი (Ribes nigrum; Ribes rubrum)
- ▶ ხურტკმელი (Ribes grossularia)
- ▶ შტოში (Vaccinium oxycoccus)
- ▶ წითელი მოცვი (Vaccinium vitis-idaea)
- ▶ თუთა (Morus)
- ▶ ლოგანბერი (მაცვლისა და ჟოლოს ჰიბრიდი) (Rubus × loganobaccus)

ჟოლო და მაცვალი, ისევე როგორც ლურჯი მოცვი, ვარდისებრთა ოჯახს მიეკუთვნება და გვხვდება მრავალწლოვანი ბუჩქის სახით. ყველა კენკროვანი მცენარე ხასიათდება შედარებით მცირე ზომის ნაყოფით, რომელსაც აქვს რბილი კანსაფარი. კენკრა შესაძლოა ადვილად დაზიანდეს, რაც საკმაოდ ართულებს მის შორ მანძილზე ტრანსპორტირებას. მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში მოჰყავთ კენკროვანი კულტურების მრავალი სახეობა, არასემონურ პერიოდში საჭირო ხდება პროდუქციის იმპორტი განვითარებადი ქვეყნებიდან. შტოშის მთავარ იმპორტიორ ქვეყნებს წარმოადგენს აშშ და კანადა. შესაბამისად, ეს პროდუქტი ნაკლებად საინტერესოა იმ ბიზნეს ოპერატორებისთვის, რომლებიც განვითარებადი ქვეყნებიდან ახდენენ ექსპორტს.

### კობინირებული ნომენკლატურის (CN) კოდეზი კენკრისთვის

კოდი	პროდუქცია
08102010	ჟოლო, გაუყინავი
08102090	მაცვალი, თუთა და მაცვლის და ჟოლოს ჰიბრიდი, (loganberry) გაუყინავი
08103010	შავი მოცხარი, გაუყინავი
08103030	წითელი მოცხარი, გაუყინავი
08103090	თეთრი მოცხარი და ხურტკმელი გაუყინავი
08104010	წითელი მოცვი, ან მთის ველური მოცვი, გაუყინავი
08104030	მოცვის (Vaccinium myrtillus) სხვადასხვა სახეობის ნაყოფი, გაუყინავი
08104050	ამერიკული შტოში (Vaccinium macrocarpum) და ამერიკული მოცვი (Vaccinium corymbosum), გაუყინავი
08104090	Vaccinium ჯგუფის ხილი (არ მოიცავს: წითელ მოცვს, მთის ველურ მოცვს და Vaccinium myrtillus-ის სხვა სახეობებს, ასევე ამერიკულ შტოშსა და ამერიკულ მოცვს) გაუყინავი

## პროდუქტის სპეციფიკა

ლოკუმენტის ეს ნაწილი მოიცავს ზოგად ინფორმაციას პროდუქციის ხარისხთან, ზომებთან, შეფუთვისა და ეტიკეტირებასთან დაკავშირებულ ძირითად მოთხოვნებსა და სავაჭრო სტანდარტებზე.

### ხარისხი

ხარისხის მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის მისაღებად გაეცანით კოდექს ალიმენტარიუსს - Codex Alimentarius, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO), გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO), აგრეთვე გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) პუბლიკაციებს:

- ▶ მარკეტინგული სტანდარტები ფიზალისისთვის (ხურტკმელის ჯგუფი), (Codex Alimentarius)
- ▶ მარკეტინგული სტანდარტები სწრაფი გაყინვის ტექნოლოგიით დამუშავებული ჟოლოს, ლურჯი მოცვისა და ევროპული სახეობის მოცვისათვის (Codex Alimentarius)
- ▶ კენკრის ზოგადი მარკეტინგული სტანდარტები (UNECE)
- ▶ ევროკავშირის რეგლამენტი N543/2011 ზოგადი მარკეტინგული სტანდარტების შესახებ

ზოგადი მარკეტინგული სტანდარტების მიხედვით, კენკრას უნდა ჰქონდეს ერთგვაროვანი შეფერილობა, კონკრეტული სახეობის დამახასიათებელი პარამეტრები, იყოს სუფთა, და არ უნდა შეიცავდეს უცხო ნივთიერებებს და დაუმწიფებულ ნაყოფს. ვიზუალური დეფექტების (მაგ.: დაუმწიფებელი ან დაზიანებული ნაყოფი) შეფასება ხდება კოდექსით გათვალისწინებული სტანდარტების სისტემის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ პროდუქციის დაზიანების მაჩვენებლები არ აღემატება დაწესებულ ზღვარს, დაშვებულია მისი შეტანა ევროპის ბაზარზე.

## ზომა და შეფუთვა

შეფუთვა უნდა ითვალისწინებდეს ისეთი რისკებისგან დამდევას, როგორცაა პროდუქციის დაზიანება, დაჟეჟილობა ან დეჰიდრატაცია (გამოშრობა).

### ეტიკეტირება

შეფუთვის ეტიკეტირება შესაბამისობაში უნდა იყოს ევროპულ ბაზარზე მოქმედ წესებთან და რეგულაციებთან. ეტიკეტის შემადგენლობაში არ უნდა იყოს ტოქსიკური მელანი ან წებო. თუკი შეფუთვის ტიპი არაახილვადს ხდის პროდუქციას, შეფუთვაზე დატანილი უნდა იყოს პროდუქციის დასახელება, სახეობის დასახელება (შერჩევითი) და საფირმო დასახელება.

ევროკავშირში ექსპორტირებული დაფასოებული კენკრის ეტიკეტზე დატანილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

- ▶ პროდუქციის დასახელება
- ▶ კომერციული იდენტიფიკაციის მახასიათებლები: კლასი, ზომა (კოდი), რაოდენობა, ნეტო წონა
- ▶ მწარმოებლის დასახელება და მისამართი
- ▶ წარმოშობის ადგილი / ქვეყანა
- ▶ გაყინული პროდუქციის შემთხვევაში ეტიკეტზე მითითებული უნდა იყოს ტერმინი „გაყინული“

ამასთანავე, ეტიკეტზე დატანილი უნდა იყოს სერტიფიცირების ლოგო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და/ან საცალო მოვაჭრის ლოგო, თუ ამ უკანასკნელს გააჩნია საკუთარი ბრენდი. პროდუქციის ეტიკეტზე ინგრედიენტების მითითება არ არის სავალდებულო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ერთი კონტეინერით ხდება სხვადასხვა სახეობის პროდუქციის გადაზიდვა. ასეთ შემთხვევაში ეტიკეტზე მითითებული უნდა იყოს ინგრედიენტები და თითოეული სახეობის პროდუქციის რაოდენობა.

## ევროპის როელი ბაზრები სტავაზობენ კენკრის ეკსპორტიორებს ახალ შესაძლებლობებს?


გზამკვლევის წინამდებარე ნაწილში მოყვანილია დეტალური ინფორმაცია ევროპაში კენკრით ვაჭრობისა და კენკრის მოხმარების შესახებ.

განხორციელდა განვითარებადი ქვეყნებიდან. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში კენკრის იმპორტის მაჩვენებელი თითქმის გაორმაგდა. აღნიშნული მაჩვენებელი განსაკუთრებით იზრდება არასეზონურ პერიოდში. იმპორტიორები, სტაბილური მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით, უპირატესად მსხვილ მწარმოებლებთან ამყარებენ ურთიერთობას.

### განვითარებადი ქვეყნებიდან კენკრის იმპორტის ზრდა

კენკრის მთლიანმა იმპორტმა ევროპაში 2015 წელს 70 ათასი ტონა შეადგინა, რაც ღირებულებით მაჩვენებელში 413 მილიონ ევროს გაუტოლდა. აქედან 67 ათას ტონაზე მეტი პროდუქციის იმპორტი

#### ღიაგრამა 1. კენკრის იმპორტი ევროპაში (1000 ტონა)




● განვითარებადი ქვეყნები

● სხვა არაავროპული ქვეყნები

წყარო: Market Access, მონაცემთა ბაზა

## დიაგრამა 2. კენკრის იმპორტი ევროპაში, სახეობების მიხედვით (1000 ტონა)



### ჟოლო და ლურჯი მოცვი სულ უფრო პოპულარული ხდება ევროპაში

**გაყვალნი:** აშშ-ს ბაზართან შედარებით მაყვლის ბაზარი ევროპაში მცირე მასშტაბებით ხასიათდება და შესაბამისად გაყიდვების მანქვენებელი ათჯერ უფრო ნაკლებია. არასეზონურ პერიოდში - ზამთარში მაყვლის შემოტანა ევროპულ ბაზარზე ხდება ლათინური ამერიკიდან საპაერო ტრანსპორტირების გზით.

**ჟოლო:** 2013-2015 წლებში ჟოლოს იმპორტი ევროპის ბაზარზე 7 ათასი ტონიდან 18 ათას ტონამდე გაიზარდა. მაროკოდან ჟოლოს იმპორტი ძირითადად დეკემბერსა და იანვარში ხდება, წელიწადის დანარჩენ დროს კი პოლონეთი, სერბეთი, ესპანეთი, ჰოლანდია და ბელგია ამარაგებენ ევროპულ ბაზარს აღნიშნული პროდუქციით. ჟოლოს მიმწოდებლები ასევე არიან მექსიკა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა.

**ლურჯი მოცვი:** ლურჯი მოცვის ევროპული ბაზარი ყოველწლიურად ფართოვდება და ახალ მასშტაბებზე გადის (იხ. დიაგრამა N2)

ამერიკული ლურჯი მოცვი ზაფხულის პერიოდში იწარმოება ნიდერლანდებში, პოლონეთსა და გერმანიაში. დამატებით პროდუქციის იმპორტირება ხდება მაროკოდან, სადაც ლურჯი მოცვის წარმოება ძალიან სწრაფი ტემპით იზრდება. არასეზონზე, ევროპაში ლურჯი მოცვი უმეტესად ჩილედან შემოდის. ასევე სწრაფად ვითარდება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და პერუს საექსპორტო შესაძლებლობები. ამერიკულ ლურჯ მოცვთან დაკავშირებით ხშირად ხდება გაურკვეველობა, რადგან მას ხშირად აიგივებენ ევროპულ ლურჯ მოცვთან (bilberries).

**შიშო:** მსოფლიო მასშტაბით კანადა და აშშ შტომის მთავარ მიმწოდებლებს წარმოადგენენ. ევროპაში მოცვი ძირითადად იყიდება გამომშრალი, გაყინული ან გადამუშავებული სახით (წენი) და ნაკლებად გვხვდება ბაზარზე გაყვინავი სახით.

### გერმანია და გაერთიანებული სამეფო კენკრის ძირითად ბაზარს წარმოადგენს

დიდი ბრიტანეთი და გერმანია გაყვინავი კენკრის უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყნებია, სადაც საზღვარგარეთიდან ჯამში 50 ათასი

ტონა კენკრა შედის (იხილეთ დიაგრამა 3). დიდი ბრიტანეთი წამყვანია შტოპის, გერმანია კი ფოლოს იმპორტის მიმართულებით. პოლანდია კენკრის იმპორტის კუთხით მესამე ადგილზეა, რაც განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ ქვეყანა უმსხვილეს სავაჭრო ჰაბს წარმოადგენს. მზარდი იმპორტით ხასიათდება ესპანეთი, სადაც კენკრის შეტანა ხდება როგორც შიდა ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ასევე რე-ექსპორტისთვის.


კენკრის მსოფლიო კონგრესის ყოველწლიური კვლევის მიხედვით, 2015 წელს კენკროვანი კულტურის წამყვანი ბაზრები იქნებიან დიდი ბრიტანეთი, გერმანია, დანია, ფინეთი, ნორვეგია, შვეიცია, ბელგია, პოლანდია და ლუქსემბურგი.

### რეკომენდაცია:

თუ თქვენ გეგმავთ კენკრის გატანას ევროპის ყველა ქვეყანაში, ეძიეთ ბიზნეს პარტნიორი ბელგიაში ან ნიდერლანდებში, რომელთაც მეტი გამოცდილება აქვთ პროდუქციის რე-ექსპორტის კუთხით.

ევროპულ იმპორტიორებთან დაკავშირება შესაძლებელია სხვადასხვა სავაჭრო გამოფენებში მონაწილეობით და თქვენი პროდუქციის წარდგენით, ასეთი გამოფენებია მაგალითად, Fruit Logistica ბერლინში და Fruit Attraction მადრიდში. კენკრის მწარმოებლებისთვის აგრეთვე ძალიან საინტერესოა London Produce Show.

## დიაგრამა 3. გაუყინავი კენკრის ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები (1000 ტონა)




წყარო: ITC, ვაჭრობის რუკა

## კენკროვან კულტურებს შორის ჟოლო და მოცხარი ყველაზე დიდი რაოდენობით ინარმოება ევროპაში

ევროპის კენკრის წარმოების სექტორში ყველაზე დიდი წილი მოდის სხვადასხვა სახეობის მოცხარზე. უკანასკნელ პერიოდში მკვეთრად იმატა ფოლოს წარმოებამ, რაც აღნიშნულ კულტურაზე

გაზრდილ მოთხოვნას უკავშირდება. ზოგადად, კენკრის წარმოება შედარებით სტაბილურია (იხ. დიაგრამა 4). მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში თითქმის მთელი წლის განმავლობაში ხდება კენკრის წარმოება, მომხმარებლის მოთხოვნის უწყვეტი დაკმაყოფილების მიზნით საჭირო ხდება სხვადასხვა კენკროვანი კულტურის იმპორტი.

## დიაგრამა 4. გაუყინავი კენკრის წარმოება ევროპაში, სახეობის მიხედვით (1000 ტონა)



წყარო: Faostat

### რეკომენდაცია:

ევროპის ბაზარზე პროდუქციის შეტანის შანსები მკვეთრად იზრდება არასეზონურ პერიოდში. თქვენს პოტენციურ სავაჭრო პარტნიორთან გადაამოწმეთ, წელიწადის რომელი დრო არის ყველაზე შესაფერისი თქვენი პროდუქციის მიწოდებისთვის. ევროპაში კენკრაზე ფასი განსაკუთრებით მაღალია ზამთრის პერიოდში, როდესაც ადგილობრივი წარმოება პრაქტიკულად არ ხდება. ეს დამატებით საექსპორტო შესაძლებლობებს უქმნის განვითარებადი ქვეყნების მწარმოებლებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ევროპულ ბაზარზე თავიანთი პროდუქციის გატანით.

## პოლონეთი სამყვანი ქვეყანაა კენკროვანი კულტურების წარმოებაში

პოლონეთი წამყვანი ქვეყანაა ჟოლოსა და მოცხარის წარმოებაში. რაც შეეხება ლურჯ მოცვს, მისი წარმოების მოცულობით პოლონეთი ევროპაში მეორე ადგილზეა და მცირედით ჩამორჩება იტალიას.

## ევსპორტის ევსკონენციალური (საჩვენებელი) ზრდა ევსპანეთში

ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემების მიხედვით, ესპანეთმა აჩვენა ევსპორტის ევსკონენციალური ზრდა. მსგავსი მაჩვენებლებით ხასიათდება პოლონეთიც. პოლანდიის შემთხვევაში, ევსპორტის მაღალი მაჩვენებელი აიხსნება კენკრის რე-ევსპორტით.

### რეკომენდაცია:

ისარგებლეთ ახალი ამბების ონლაინ პორტალებით (როგორცაა, მაგალითად Freshplaza), რათა თვალყური ადევნოთ კენკრის წარმოებისა და მოხმარების ტენდენციებს.



## როგელი ტენდენციები აჩენს ახალ შესაძლებლობებს ევროპის გაუყინავი კენკრის ბაზარზე?

### ძირითადი საშობაო კერიოლოგი

ცოცხალ შტოზე მოთხოვნა განსაკუთრებით იმატებს საშობაო პერიოდში და მისი იმპორტი როგორც წესი, ხდება აშშ-დან. ცოცხალი შტოების ბაზარი მცირეა შტოების წვეწების ბაზართან შედარებით. ეს უკანასკნელი ხასიათდება მაღალი მოთხოვნით მთელი წლის მანძილზე. განვითარებადი ქვეყნების მიმწოდებლებს სთვთვს განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს აშშ-ში წარმოებულ პროდუქტთან კონკურენცია. შესაბამისად, თუკი გადაწყვეტთ პროდუქციის მიწოდებას ევროპის ბაზარზე, არ უნდა შემოიფარგლოთ მხოლოდ ცოცხალი შტოებით.

### რეკომენდაცია:

*იყავით კრეატიული და მომხმარებელს შესთავაზეთ როგორც გაუყინავი, ისე გაყინული კენკრა, ან მაგალითად, შტოების რბილობი ან წვეწი. ხილის წვეწებზე დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გაეცანით ევროპის ხილის წვეწების ასოციაციის კვლევებს.*

## ახალი პროექტები ლურჯი მოცვის წარმოებაში

მომხმარებელი სულ უფრო დიდ ინტერესს იჩენს კენკროვანი და სხვა ისეთი ხილის მიმართ, რომელიც ტრადიციული ხილის ალტერნატივად განიხილება. მიმწოდებლები, თავის მხრივ, ცდილობენ სარგებელი ნახონ ამ ტენდენციიდან, რაც განაპირობებს ბევრი ახალი პროექტის (პროდუქტის დანერგვის) ინიცირებას. მაგალითად, პერუში ლურჯი მოცვის ბალების ფართობი სავარაუდოდ 280 ჰექტრიდან (2012 წელს) 3000 ჰექტრამდე (2018 წელს) გაიზარდება. ევროპაში ლურჯ მოცვზე მოთხოვნა ბევრად დაბალია ჩრდილოეთ ამერიკასთან შედარებით, თუმცა, მოსალოდნელია, რომ ამ მხრივ სურათი შეიცვლება და მოთხოვნა გაიზარდება. ამავე დროს, ნაკლებსავარაუდოა, რომ მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში მიწოდებამ გადააჭარბოს მოთხოვნის დონეს. წარმატება გარკვეულწილად დამოკიდებულია ცოცხალი კენკრის ხარისხის და ხარისხის სტაბილურობის მაჩვენებლებზე, ასევე გემური თვისებების შენარჩუნებაზე.

### რეკომენდაცია:

*მიმართეთ ყველა მომას იმისთვის, რომ მიწოდების ჯაჭვის ყველა რგოლზე, ლოჯისტიკამ და ტრანსპორტირების პროცესებში მინიმალური ზეგავლენა მოახდინონ პროდუქციის გემურ მახასიათებლებზე. პროდუქციის გემოს გადაწყვეტი მიიღწეულობა აქვს.*

## კენკრის ადგილობრივი სეზონური წარმოება

მომხმარებლები სულ უფრო მეტად აცნობიერებენ სეზონური ხილის მიწოდებას და შესაბამისად, ადგილობრივი წარმოების სეზონური ხილი სულ უფრო პრიორიტეტული ხდება. აღნიშნულის საპასუხოდ მალაზიები ცდილობენ ფეხი აუწყონ ბაზრის მოთხოვნას, და მყიდველს ადგილობრივად წარმოებული კენკრა შესთავაზონ. მიუხედავად იმისა, რომ კენკრაზე მოთხოვნის ნაწილი კმაყოფილდება იმპორტირებული პროდუქციით, სეზონურ ხილზე მზარდმა მოთხოვნამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას პროდუქციის იმპორტს შორ მანძილზე მყოფი მომწოდებლებისგან.

## კენკრა - წახემსების მოხერხებელი საშუალება და ინგრედიენტი

კენკრა წახემსებისთვის იდეალურ ვარიანტს წარმოადგენს - ის მარტივად შეიძლება დაფასოვდეს კონტეინერებში, და დაჭრილი ცოცხალი ხილის მიქსის მსგავსად, ადვილია თან წასაღებად. მომხმარებელს უყვარს მრავალფეროვნება და ამ მოთხოვნას სრულიად აკმაყოფილებს სხვადასხვა სახის კენკრის მიქსი, რომელიც იმიდავს მყიდველს და სულ უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს. კენკრის ხეში, როგორც სხვადასხვა სახეობის კენკრის ასორტი განსაკუთრებით პოპულარულია ევროპის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. როგორც საკვები დანამატი ან ინგრედიენტი, კენკროვანი კულტურები გვხვდება გამომწრალი (შტოში, თუთა) ან გაყინული (ჟოლო, ლურჯი მოცვი) სახით.

### რეკომენდაცია:

*კენკრის მიქსის წარმოებისას, გამოიყენეთ ის სახეობები, რომლებიც ავსებენ ერთმანეთს. სავაჭრო აგენტები, რომლებიც ხილის მიქსზე მუშაობენ, პროდუქციის სრულყოფილ ასორტიმენტს განსაკუთრებულ უპირატესობას ანიჭებენ.*

## აქცენტი ჯანსაღ საკვებზე

მომხმარებელი აღიქვამს კენკრას, როგორც ჯანსაღ პროდუქტს. თუ გავითვალისწინებთ, რომ საბაზრო ტრენდი მდგრადი და ჯანსაღი საკვებისკენ იხრება, კენკრას უდიდესი საბაზრო პოტენციალი გააჩნია. მაგალითად, უკანასკნელი წლების განმავლობაში, კენკრის, როგორც ჯანსაღი პროდუქტის, პოპულარიზაციამ ხელი შეუწყო ლურჯი მოცვის, ჟოლოს, და გოჯი ბერის (ძირითადად გამომშრალი სახის) გაყიდვების მნიშვნელოვან ზრდას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბაზარზე შტოში უმეტესწილად გვხვდება წვენი სახით. მიუხედავად იმისა, რომ კენკრის ხსენებული სახეობები მთელი წლის განმავლობაში ხელმისაწვდომია ბაზარზე, კენკრა მაინც ძვირადღირებულ პროდუქტად მიიჩნევა.

## ორგანული პროდუქციის ნიშური ბაზარი

გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებისადმი მზარდი ინტერესის პარალელურად, იზრდება მოთხოვნა ორგანული წარმოების ხილსა და ბოსტნეულზე. ორგანული კენკრით ვაჭრობენ როგორც სპეციალიზებული მაღაზიები, ასევე მსხვილი სავაჭრო ობიექტები.

### რეკომენდაცია:

*ორგანული პროდუქციის ექსპორტირების მიზნით დაუკავშირდით სპეციალიზებულ იმპორტიორს. ისარგებლეთ სხვადასხვა მონაცემთა ბაზებით, როგორცაა მაგალითად Organic-bio*

*ორგანული მეურნეობის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიიღეთ ნიადაგის ასოციაციის (Soil Association) ვებ-გვერდის საშუალებით*

## მზარდი ინტერესი მდგრადი სტანდარტებით წარმოებული ხილის მიმართ

გაუყინავი ხილის მოხმარების ტრენდი ევროპაში ვითარდება ხილის მოყვანისა და გადამამუშავების მდგრად (სოციალურ-ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სურსათის უვნებლობის) სტანდარტებთან შესაბამისობის კვალდაკვალ. გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტები უფრო და უფრო აქტუალური ხდება. სოციალური და გარემოსდაცვითი სერტიფიცირების სქემები საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად შემცირდეს პესტიციდების გამოყენება და მოხდეს მათი მოხმარების აღრიცხვა, და ამასთანავე, მიღებულ იქნას ზომები მუშახელის უსაფრთხოების, და პროდუქციის გარანტირებული ფასის უზრუნველსაყოფად. ისეთი სერტიფიცირების სქემებით წარმოებულ

პროდუქციას, რომლებიც თანხვედრაშია გლობალური სოციალური შესაბამისობის პროგრამასთან (GSCP), ევროპული სუპერმარკეტების ქსელში შეღწევის უფრო მაღალი შანსი გააჩნია.

### რეკომენდაცია:

*სოციალური და გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად გაეცანით გლობალური სოციალური შესაბამისობის პროგრამას (GSCP- Global Social Compliance Programme)*

## რა საბაზრო მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს გაუყინავი კენკრა, რომელის ევროპულ ბაზარზეა წარმოდგენილი?

5

მყიდველთა მოთხოვნები შესაძლოა დაიყოს შემდეგ კატეგორიებად: 1) სავალდებულო / აუცილებელი მოთხოვნები, რომლებსაც აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს პროდუქცია ბაზარზე შესასვლელად (მაგ. სამართლებრივი მოთხოვნები) 2) ზოგადი მოთხოვნები - რომლებსაც აკმაყოფილებს თქვენი კონკურენტების უმრავლესობა. ამ მოთხოვნებთან შესაბამისობა საჭიროა ბაზარზე პოზიციების შესანარჩუნებლად; 3) ნიშური ბაზრის მოთხოვნები კონკრეტული სეგმენტისთვის.

სურსათის უვნებლობის მოთხოვნები გაუყინავი კენკრის მიმართ, სხვა გაუყინავი ხილისა და ბოსტნეულის მიმართ დაწესებული მოთხოვნების ანალოგიურია.

## რა საბარტლებრივ და არასაბარტლებრივ მოთხოვნებთან უნდა იყოს შესაბამისობაში თქვენი პროდუქცია?

### პესტიციდების ნარჩენების მინიმიზაცია

პესტიციდების ნარჩენები წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს ხილისა და ბოსტნეულის იმპორტიორებისთვის. იმისთვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ჯანმრთელობისა და გარემოსთვის მიყენებული ზიანი, ევროკავშირის დადგენილი აქვს პესტიციდების

ნარჩენების ზღვრული დასაშვები ნორმა, როგორც პროდუქციის შიგთავსის, ისე საფარის/გარეკანის მიმართ. პროდუქცია, რომლის შემცველობაში აღმოჩნდება დასაშვები ნორმაზე მეტი პესტიციდების ნარჩენების მოცულობა, გაძევებული იქნება ევროპის ბაზრიდან. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზოგიერთ ქვეყანაში, როგორცაა მაგალითად, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ჰოლანდია და ავსტრია, პესტიციდების ნარჩენების ზღვრული დასაშვები ნორმა კიდევ უფრო დაბალია ევროკავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაჩვენებელთან შედარებით.

### ფიტოსანიტარულ მოთხოვნებთან შესაბამისობა

ევროპელი მომხმარებლებისათვის მნიშვნელოვანია იმპორტირებული ხილისა და ბოსტნეულის შესაბამისობა ევროკავშირის კანონმდებლობასთან მცენარეთა სიჯანსაღის შესახებ. ევროკავშირში მოქმედებს ფიტოსანიტარული მოთხოვნები, რათა მოხდეს მცენარეებში და მცენარეულ პროდუქტებში მავნე ორგანიზმების შეღწევისა და გავრცელების პრევენცია ევროპის ტერიტორიაზე. ამ მოთხოვნების შესრულებაზე კონტროლი აკისრია სურსათის უვნებლობის ზედამხედველობის ორგანოებს როგორც იმპორტიორ, ისე ექსპორტიორ ქვეყნებში.

#### რეკომენდაცია:

*მცენარეთა დაცვის ეროვნულ ორგანიზაციასთან, ან სურსათის უვნებლობის სააგენტოსთან გადაამოწმეთ, თუ რა მოთხოვნებს და პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს გაუყინავი კენკრა ევროპის ბაზარზე ექსპორტირებისთვის. აღნიშნული ორგანოები თავიანთ საქმიანობაში, ჩვეულებრივ, ითვალისწინებენ საერთაშორისო სტანდარტებს, თუმცა მიზანშეწონილია მიღებული ინფორმაცია გადაამოწმოთ თქვენს სავაჭრო პარტნიორებთან.*

### რა დაგადაბითი მოთხოვნები აქვთ მყიდველს?

**GlobalGap და სხვა სტანდარტებით სერტიფიცირება, როგორც ხარისხისა და უვნებლობის გარანტი**

იმის გათვალისწინებით, რომ სურსათის უვნებლობა უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა ევროკავშირის საკვები პროდუქციის ბაზარზე,

მყიდველთა დიდი ნაწილი მოითხოვს დამატებით გარანტიებს სერტიფიცირების სქემების სახით.

გაუყინავი კენკრის სერტიფიცირების ყველაზე გავრცელებულ სქემას წარმოადგენს GlobalGAP სტანდარტი, რომელიც მოიცავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სრულ ციკლს, ნიადაგში დარგვამდე და საბოლოო, გადამუშავების ეტაპამდე. GlobalGAP სერტიფიცირებაზე მოთხოვნა დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე, როგორცაა მაგალითად საბაზრო პირობები, სავაჭრო არხები და იმ ქვეყნის შიდა მოთხოვნები, სადაც ხდება პროდუქციის შეტანა. მაგალითად, თითქმის შეუძლებელი გახდა ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების ბაზარზე კენკრის შეტანა GlobalGAP სერტიფიცირების გარეშე, ვინაიდან აღნიშნულ სტანდარტთან შესაბამისობა წარმოადგენს მსხვილი სუპერმარკეტების მთავარ მოთხოვნას.

სურსათის უვნებლობის მართვის სისტემებიდან შესაძლოა, აგრეთვე, მოითხოვონ:

- ▶ ბრიტანული გაყიდვების კონსორციუმის (BRC) სტანდარტი
- ▶ სურსათის საერთაშორისო სტანდარტი (IFS- International Featured Standards)
- ▶ სურსათის უვნებლობის სისტემა SSC22000
- ▶ უსაფრთხო ხარისხის სურსათის პროგრამა (SQF).

სურსათის უვნებლობის მართვის აღნიშნული სისტემები ინერგება GlobalGAP სტანდარტთან ერთად და აღიარებულია სურსათის უვნებლობის გლობალური ინიციატივის (GFSI) მიერ.

#### რეკომენდაცია:

*გადაამოწმეთ, სურსათის უვნებლობის რომელ სისტემას ენიჭება უპირატესობა თქვენს მიზნობრივ ბაზარზე. დიდი ალბათობით, ერთ-ერთი მათგანი იქნება GlobalGAP. გაეცანიოთ სტანდარტების რუკას და მიიღეთ მეტი ინფორმაცია სურსათის უვნებლობის მართვის სისტემების შესახებ.*

*გახსოვდეთ, რომ სურსათის უვნებლობა უმნიშვნელოვანესი ასპექტია. აქტიურად იმუშავეთ მყიდველებთან, რათა დაწერგოთ სურსათის უვნებლობის გაუმჯობესებული სქემები, უფრო გამჭვირვალე გახადოთ თქვენი ბიზნესი და ფეხი აუწყოთ მუდმივად განახლებად მოთხოვნებსა და რეგულაციებს.*

## რა მოთხოვნები არსებობს ნიშურ ბაზარზე?

### ორგანულ კანარაზე მოთხოვნის ზრდა

ევროპელი მომხმარებელი უპირატესობას ანიჭებს საკვებ პროდუქციას, რომლის წარმოება და გადამამუშავება ხდება ბუნებრივი მეთოდების გამოყენებით. ორგანული კენკრის ბაზარი შედარებით მცირე მასშტაბისაა, თუმცა მას განვითარების დიდი პერსპექტივა აქვს. დღესდღეობით, ორგანული კენკრის ბაზარზე მიწოდება საკმაოდ შეზღუდულია. ევროკავშირის ორგანული პროდუქტების ბაზარზე გასასვლელად, აუცილებელია ორგანული წარმოების იმ მეთოდების გამოყენება, რომლებსაც ითვალისწინებს ევროკავშირის კანონმდებლობა. მეტიც, მწარმოებელი აღნიშნულ მეთოდებს სულ მცირე ორი წლის განმავლობაში უნდა იყენებდეს, სანამ დაიწყებს ორგანული ხილისა და ბოსტნეულის გატანას ევროკავშირის ბაზარზე.

ამასთანავე, თქვენ (ან თქვენს იმპორტიორს) უნდა გქონდეთ შესაბამისი მაკონტროლებელი ორგანოების მიერ გაცემული იმპორტის ლიცენზია. მხოლოდ აკრედიტირებული მასერტიფიცირებული ორგანიზაციის აუდიტის შემდგომ შეგძლება დაითანოთ პროდუქციის ორგანულობის ან შესაბამისი სტანდარტის (მაგ.: Soil Association (განსაკუთრებით გავრცელებულია დიდ ბრიტანეთში), Naturland (გერმანია) or Bio Suisse (შვეიცარია)) დამადასტურებელი ლოგო შეფუთვაზე.

ეს სტანდარტები რამდენადმე განსხვავებულია, თუმცა ყველა მათგანი შეესაბამება ევროპულ კანონმდებლობას ორგანული პროდუქციის წარმოებისა და ეტიკეტირების შესახებ.

### რეკომენდაცია:

ორგანული პროდუქციის წარმოება და სერტიფიცირება საკმაოდ დანახარჯებთანაა დაკავშირებული. ამდენად, კარგად გააანალიზეთ საბაზრო შესაძლებლობები, სანამ ინვესტიციის განხორციელებას გადაწყვეტთ.

შიიღეთ მეტი ინფორმაცია ორგანული სერტიფიცირების სხვადასხვა სქემების შესახებ.

ევროპულ ბაზარზე ორგანული კენკრის ექსპორტირებისას, მიმართეთ კომპეტენტურ, კენკრაზე სპეციალიზებულ იმპორტიორს, რომელიც კარგად იცნობს ბაზრის სპეციფიკას, იცის ნიშური ბაზრის მოთხოვნები, და ამ ბაზარზე მელწევის გზები. შესაფერისი იმპორტიორის მოსაძებნად გამოიყენეთ სხვადასხვა მონაცემთა ბაზა, მაგალითად Organic-Bio.

## სამართლიანი და მდგრადი ბაზარი

პლანტაციების ტერიტორიაზე, სადაც ხდება კენკრის მოყვანა, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სოციალურ და გარემოსდაცვით ასპექტებს. ევროპელ მყიდველთა უმეტესობა თქვენგან, როგორც მწარმოებლისგან მოითხოვს ზედმინვებით მიჰყვეთ სოციალური ქცევის კოდექსს. ცოცხალი კენკრის წარმოებაში სოციალურ სტანდარტებთან შესაბამისობა საკმაოდ მნიშვნელოვანია, თუმცა ყოველდღიურ სავაჭრო ოპერაციებში ყველაზე მნიშვნელოვან კრიტერიუმს პროდუქციის ხარისხი წარმოადგენს და სწორედ მას ენიჭება უპირატესობა. ზოგიერთი სპეციალიზებული გამყიდველი სოციალური სტანდარტებით სერტიფიცირებული პროდუქციის მიმწოდებლებს დამატებით შესაძლებლობებს სთავაზობს.

სოციალური ინიციატივები, რომლებიც გავლენას ახდენენ თქვენი, როგორც მიმწოდებლის საქმიანობაზე:

- ▶ ეთიკური ვაჭრობის ინიციატივა (Ethical Trading Initiative (ETI)) დიდ ბრიტანეთში
- ▶ ბიზნესის სოციალური შესაბამისობის ინიციატივა (Business Social Compliance Initiative (BSCI)) ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში
- ▶ გლობალური სოციალური შესაბამისობის პროგრამა (Global Social Compliance Programme (GSCP))

გაუყინავი ხილისა და ბოსტნეულისთვის სოციალურ, ან მდგრადი განვითარების სტანდარტებთან შესაბამისობის მარკირების სახეები, მაგალითად:

- ▶ Fair for Life
- ▶ Fairtrade

## რა სახის კონკურენციას შეხვდებით ევროპის კენკრის ბაზარზე?

წინამდებარე ნაწილში განხილულია გაუყინავი კენკრის ბაზარზე შესვლის შესაძლებლობები და ბარიერები, აგრეთვე კონკურენციის ასპექტები კომპანიების და პროდუქციის დონეზე.

### მიზნობრივად შორის კონკურენცია

კენკრის წარმოება იზრდება მთელი მსოფლიოს მასშტაბით. შესაბამისად, ბაზრის ამ სექტორებზე კონკურენციის დონე ძალიან მაღალია. სემონზე, განსაკუთრებით დიდი რაოდენობის კენკრა ინარმოება ჩრდილოეთ და ცენტრალურ ევროპაში. ყოლოდეს და ლურჯი მოცვის წარმოება კი ასევე იზრდება ევროპის სამხრეთ ნაწილში. ამავე დროს, მზარდი ტენდენცია აქვს ცოცხალი კენკრის მიწოდებას განვითარებადი ქვეყნებიდან, აქ აღსანიშნავია ლურჯი მოცვის იმპორტი ჩილეიდან და პერუდან.

### ბაზარზე შესვლა

სერტიფიცირებისა თუ სამართლებრივი და არასამართლებრივი მოთხოვნების გამო ევროკავშირის ბაზარზე შესვლა ბევრი კომპანიისთვის ძალზე დიდ სირთულეს წარმოადგენს. მსხვილ სუპერმარკეტებს ძლიერი საბაზრო პოზიცია უკავიათ და ძალიან მკაცრ მოთხოვნებს აწესებენ. კენკროვნების შემთხვევაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტორებია ხარისხის შენარჩუნება მოსავლის აღების და ტრანსპორტირების პროცესში, კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტებთან შესაბამისობა, მიწოდების ჯაჭვის გამჭვირვალობა და ინფორმაციის გაცვლის უზრუნველყოფა. ევროპელი მყიდველები უპირატესობას ანიჭებენ გრძელვადიან პარტნიორულ ურთიერთობებს იმ მიზნით, რომ უზრუნველყონ პროდუქციის ხარისხის და მიწოდების სტაბილურობა.

### პროდუქციის კონკურენტუნარიანობა

ბოლო ათწლეულის განმავლობაში სულ უფრო მრავალფეროვანი ხილი და ბოსტნეული შედის ევროპულ ბაზარზე. უამრავი სახეობის კენკრა ავსებს ერთმანეთს ან წარმოდგენილია შერეული სახით. ზოგადად, ძალზე იშვიათად ხდება კენკრის ჩანაცვლება სხვა ხილით.

## როგორი სავაჭრო არხები უნდა გამოიყენოთ ევროკავშირის ბაზარზე გაუყინავი კენკრის გასატანად?

გზამკვლევის წინამდებარე ნაწილში მოცემულია ინფორმაცია კენკროვანი კულტურების სხვადასხვა სავაჭრო არხებზე ევროპაში.

### სუპერმარკეტები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო არხი კენკრის ბაზარზე

დღესდღეობით კენკრა მრავალ სუპერმარკეტშია წარმოდგენილი. სუპერმარკეტების სექტორი კენკრისთვის განსაკუთრებით ძლიერია ჩრდილოეთ ევროპის ბაზარზე, სადაც კენკროვნების პოტენციური ყველაზე მაღალია. რაც შეეხება სამხრეთ ევროპას, აქ მომხმარებელი პროდუქციის შექმნისას უპირატესობას სპეციალიზებულ და ქუჩის პატარა მაღაზიებს ანიჭებს, თუმცა, საფრანგეთსა და ესპანეთში, კენკროვნების მთლიან გაყიდვებში ასევე მაღალია ჰიპერმარკეტების წილიც.

### იმპორტიორები და ბითუმად მოვაჭრეები დისტრიბუციისა და ბრენდირების კუთხით მნიშვნელოვან როლს წარმოადგენს

იმპორტიორები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საბაზრო არხების ფუნქციონირებაში, როგორც საცალო ვაჭრობის, ისე კვების მომსახურების კუთხით. იმპორტიორები პროდუქციას აწვდიან როგორც ადგილობრივ საბითუმო ქსელს, ისე ბითუმად მოვაჭრე ექსპორტიორებს. დღესდღეობით, იმპორტიორები და ბითუმად მოვაჭრეები აგრეთვე ცდილობენ შექმნან საკუთარი ბრენდები. კენკრის შემთხვევაში, ბრენდისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პარამეტრებია ჯანსაღი პროდუქცია, მიმზიდველი შეფუთვა და პროდუქციის მრავალფეროვნება. ერთ-ერთ მარკეტინგულ მეთოდს წარმოადგენს იმის განსაზღვრა, თუ როგორ აღიქვამს მომხმარებელი მწარმოებლის მისწრაფებას - მიანოლოს მხოლოდ მაღალი ხარისხის პროდუქცია.

იმპორტიორები და დისტრიბუტორები განსხვავდებიან ერთმანეთისგან საცალო სექტორში ჩართულობის კუთხით. ზოგი მათგანი

კერძო ბრენდული პროდუქციის მიმწოდებელია, ზოგს საკუთარი ბრენდი ბრენდი აქვს შექმნილი, დანარჩენი კი მწარმოებლის ბრენდის ქვეშ ყიდის პროდუქციას (კოოპერაცია)

**რეკომენდაცია:**


*შეარჩიეთ იმპორტიორი თქვენი კომპანიის ზომასა და სტრატეგიაზე დაყრდნობით. განსაზღვრეთ, შეუძლია თუ არა ბრენდირებას თქვენი პროდუქციისთვის დაშატებითი ღირებულების შექმნა.*

*სავაჭრო პარტნიორებთან კავშირის დამყარება შეგიძლიათ სავაჭრო გამოფენებში მონაწილეობის გზით. ასეთი გამოფენაა მაგალითად, Fruit Logistica.*

*გახდით ბრენდირებული ცოცხალი კენკრის ერთგული მიმწოდებელი. ასეთ კომპანიებს მოეთხოვება მასშტაბური ბაზრის კვლევის ჩატარება და ინვესტირება საკუთარი ბაზრის გაფართოების მიზნით.*

**8 როგორ ხდება ცოცხალი კენკრის საბოლოო ფასის განსაზღვრა?**

**სქემა: კენკრის სამომხმარებლო ფასის სტრუქტურა**



\*ტრანსპორტირების ხარჯები დამოკიდებულია ტრანსპორტირების ტიპზე (საჰაერო / ზღვით / სახმელეთო) და დისტანციაზე

სამომხმარებლო ფასები კენკრაზე საკმაოდ მერყევიანია: ევროპაში, მოსავლის სეზონზე (ზაფხული) ფასები დაბალია და პიკს აღწევს ზამთარში, განსაკუთრებით, შობის პერიოდში.

სამომხმარებლო ფასებს განსაზღვრავს სხვადასხვა ფაქტორი: კენკრის სახეობა, შეფუთვის ზომა, წარმოშობა (ადგილობრივი თუ

იმპორტირებული), და აგრეთვე მოყვანისა და წარმოების პრაქტიკა, ანუ ორგანულია თუ არა პროდუქცია. ფასები ცვალებადია ქვეყნების და წელიწადის დროების მიხედვით. ზოგადი ინფორმაცია ფასებზე კენკრის სახეობების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

- ▶ სუპერმარკეტებში ერთი კილოგრამი ლურჯი მოცვის ფასი მერყეობს 13-დან 20 ევრომდე. მცირე ზომის შეფუთვას (90-120 გრამი) ზოგჯერ უფრო მაღალი ფასიც კი აქვს.
- ▶ მაყვლის ფასი მიახლოებულია ლურჯი მოცვის ფასთან, თუმცა ადგილობრივად წარმოებული პროდუქცია შესაძლოა 50%-ით იაფიც კი იყოს იმპორტირებულთან შედარებით.

- ▶ ერთი კილოგრამი ჟოლოს ფასი დაახლოებით 18-23 ევროს ფარგლებში მერყეობს. ტრადიციული ტექნოლოგიით ადგილობრივად წარმოებული ერთი კილოგრამი ჟოლოს ფასი 12 ევრომდეა, მაშინ როდესაც ორგანული პროდუქციის ღირებულება 28 ევროს აღწევს.
- ▶ შტოში ჩვეულებრივ იყიდება გამომშრალი სახით და ერთეული კილოგრამის ფასი დაახლოებით 10-20 ევროა.

#### **რეკომენდაცია:**

*სამომხმარებლო ფასები შეგიძლიათ გადაამოწმოთ ონლაინ მაღაზიებსა თუ სუპერმარკეტების ქსელში. მაგ.: Tesco, Albert Heijn ან Carrefour*